# წერა უფრო ადრე გაჩნდა თუ კითხვა? სერიიდან ,,სწავლის ძირი”

მასწავლებლები ორ დიდ ჯგუფად იყოფიან: 1. ვინც ფიქრობენ, რომ ჯერ წერა გაჩნდა და შემდეგ - კითხვა, 2. ვინც პირიქით ფიქრობენ: ჯერ კითხვა გაჩნდა და შემდეგ - წერა.

მე მეორე ჯგუფში ვრაცხ თავს, რადგან მიმაჩნია, რომ ადამიანს ბუნების მიერ მოცემული იმდენი ნიშანი აქვს ამოსაკითხი, რომ...

მაგრამ დღევანდელობამ ამ დაყოფას უკვე აზრი დაუკარგა და პირველ ჯგუფს არსებობის არგუმენტიც გამოაცალა, რადგან დღევანდელი წერა თავისთავად ჯერ კითხვას მოითხოვს — კლავიატურაზე დასაჭერად (ანუ დასაწერად) ჯერ ასო უნდა ამოვიცნოთ, ამოვიკითხოთ.

მაგრამ... ეს პროცესი იმდენად ავტომატიზირებულია, თითები ისე მექანიკურად მოქმედებენ, რომ ჩვენ კლავიატურას აღარც ვაკვირდებით და უმეტესად ჩვენს ნაწერს ვკითხულობთ — ანუ ერთდროულად ვწერთ და ვკითხულობთ კიდეც.

სიტყვა გაგვექცა... ამ წერილის მიზანია, ვისაუბროთ წერის სწავლების დასაწყის ეტაპზე და ამ მიზნით განვიხილოთ სხვადასხვა სიტუაცია და მასწავლებლის ქმედებები. მოკლედ ესაა წერილის ქარგა:

1. ზოგადი მიმოხილვა წერის შესახებ
2. ბავშვის წერითი გამოცდილება სკოლაში მისვლამდე
3. პირველი დღეების საკითხავი რესურსები, როგორც წერის ინსტრუმენტი
4. წერამდელი საწერი აქტივობები
5. მოსმენისა და წერის ინტეგრაცია, კითხვისა და წერის ინტეგრაცია

## 1. ზოგადი მიმოხილვა წერის შესახებ

წერა ბავშვებს საშუალებას აძლევს გამოხატონ თავიანთი იდეები და ინდივიდუალურობა. წერით ისინი ეჩვევიან კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას, აზრების ორგანიზებას, კომუნიკაციას. წერის სწავლა ეხმარება ბავშვებს, იყვნენ უკეთესი მკითხველები.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წერის სწავლებას პირველ კლასში. ჯერ თვალი გადავავლოთ ტრაექტორიას, რომელსაც მოსწავლეები გაივლიან, როგორც პატარა მკითხველები და შემდეგ შევადაროთ წერის სწავლის ტრაექტორიას.

რას კითხულობენ პირველკლასელები:




როგორც სქემაზეა გამოსახული წინასაანბანო პერიოდში ბავშვები კითხულობენ/ცნობენ საკუთარ სახელებსა და ზოგიერთ ხშირ სიტყვასაც (აქ ცალკე არაა გამოტანილი ასოების ამოკითხვა-ცნობა.). შეიძლება ითქვას, რომ მეორე ენაზეც შეუძლია ზოგიერთ ბავშვს საკუთარი სახელის ცნობა, თუმცა საქართველოს არაქართულენოვან სკოლებსა და სექტორებში ასეთი შემთხვევები არცთუ ხშირია. უკვე საანბანო პერიოდში პირველკლასელები კითხულობენ საანბანე ტექსტებს და ბოლოს მცირე ტექსტებს.

თუ დავაკვირდებით წერის სწავლის დაწყებას, შეგვიძლია ამ ცხრილს სხვაგვარი სახე მივცეთ:




ამ სქემის განზოგადება შეიძლება, როგორც მშობლიური ენის, ასევე არამშობლიური (მეორე, უცხოური) ენის შემსწავლელი ბავშვებისთვის. არამშობლურ ენაზე წერის შემსწავლელ მოსწავლეებზე შეიძლება ითქვას, რომ მათ უკვე წერის გარკვეული გამოცდილება აქვს. თუ გავითვალისწინებთ იმას, თუ როდის იწყებენ ქართულის შემსწავლელი პირველკლასელები ქართულად წერის სწავლას, ეს გამოცდილება არცთუ დიდია, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია. მათ უკვე გამომუშავებული აქვთ მშობლიურ ენაზე წერის საწყისი ჩვევები, იციან კალმის სწორად დაჭერა თუ კლავიატურაზე გარკვეული ასოების მოძებნა, ზოგიერთი (თუ ყველასი არა)

ასოს დაწერა, სიტყვებისა და წინადადებების დაწერაც კი. ეს უნარები, რასაკვირველია დაეხმარება მეორე ენის მასწავლებელსაც. აქედან გამომდინარე თვალსაჩინოა, რამდენად მნიშვნელოვანია მშობლიური ენის მასწავლებლების თანამშრომლობა მეორე თუ უცხოური ენის მასწავლებლებთან წერის სწავლების კომპონენტშიც.

## 2. ბავშვის წერითი გამოცდილება სკოლაში მისვლამდე

რა უნარები აქვს ხუთი წლის ბავშვს, რომელიც წერისთვის გამოადგება? მას უკვე შეუძლია:

- კალმის (ფანქრის, ცარცის...) დაჭერა,
- ჩხაპნა, გაფერადება, ხაზების გავლება, ხატვა,
- ზოგიერთი ასოს დაწერა,
- ზოგიერთი ასოს კლავიატურაზე მიგნება...

რაც მთავარია, მას უკვე გაცნობიერებული აქვს, რომ ის ტექსტები, რომლებსაც მას უფროსები უკითხავდნენ, დაწერილია ვიღაცის მიერ და ყველას შეუძლია ამის გაკეთება.

5-6 წლის ასაკის ბავშვები ჩვენს ეპოქაში უკვე იმასაც აცნობიერებენ, რომ ტექსტის შექმნა ორგვარადაა შესაძლებელი: ფურცელზე კალმით დაწერით და კლავიატურის კლავიშზე დაწერით. მეტიც, მათ უკვე შეუძლიათ რამდენიმე ასოს დაწერა თუ აკრეფა. ისინი მრავალჯერ დაჰკვირვებიან უფროსების მიერ წერის პროცესს: სმარტფონებსა და ლეპტოპებში ტექსტების აკრეფასა და ფურცლებზეც ასოების გამოყვანას, როგორც წესი საკუთარი სახელისას.

შეიძლება ითქვას, რომ ეს საკმაოდ მყარი უნარებია, რომელსაც შემდგომში უნდა დაეფუძნოს წერის უნარის განვითარება.

## 3. პირველი დღეების საკითხავი რესურსები, როგორც წერის ინსტრუმენტი

წინა წერილებში ვსაუბრობდით იმ რესურსების შესახებ, რომლებსაც სკოლის პირველივე დღეებში გამოვიყენებთ, როგორც საკითხავ მასალას. ეს იყო მოსწავლეთა საკუთარი სახელების ბარათები და საკლასო ოთახში არსებული საგნების დასახელებების ბარათები.

მოკლედ გავიხსენოთ, რომ საკუთარი სახელების ბარათებს პირველივე სიის ამოკითხვისას ვიყენებთ და თვალსაჩინოდ ვაჩვენებთ ბავშვებს, რომლებიც რამდენიმე დღეში უკვე დაიმახსოვრებენ საკუთარი სახელის ლოგოგრაფიულ ხატს, ხოლო თანდათან თავისი

კლასელებისასაც. ასევე დაიმახსოვრებენ ახალი პირველკლასელები საკლასო ავეჯზე მიკრულ სიტყვის ბარათებს (კარადა, კარი, მაგიდა...) და მალე შეცდომით მიკრულსაც შეამჩნევენ და ,,შეასწორებენ" ანუ გადააადგილებენ.

დავსვათ შეკითხვა: უმჯობესი ხომ არ იქნება, მოსწავლეთა საკუთარი სახელების ბარათები მზამზარეულად კი არ შევთავაზოთ ბავშვებს, არამედ მათ თვალწინ დავწეროთ? ანდა, წინასწარ გამზადებული ბარათების ასლები დავამზადოთ მათ თვალწინ.

ნამდვილად ასე აჯობებს.

მასწავლებელი იღებს ცარიელ ბარათს და სიის ამოკითხვის პარალელურად დაფაზე მიდებულ ცარიელ ბარათზე დიდი ასოებით წერს კონკრეტული მოსწავლის სახელს: ლუკა... ნინი... თაკო... ეთო... ანა... ნიკო...

რასაკვირველია, პირველკლასელები სკოლაში მისვლამდე არაერთხელ დაჰკვირვებიან საკუთარი სახელის დაწერის პროცედურას — რამდენჯერ უთხოვიათ, მამა/დედა/ბებია, ჩემი სახელი დამიწერე!.. ეს დაკვირვებებია სწორედ წერისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯები. ასეთივე ნაბიჯებით უნდა გააგრძელოს მასწავლებელმაც სიარული. თან მოსწავლეები უკვე მხოლოდ საკუთარი სახელების დაწერას კი არ დააკვირდებიან, არამედ სხვა თანაკლასელებისასაც, რაც უკვე უფრო ნაყოფიერი საფეხურია.

## 4. წერამდელი საწერი აქტივობები

ჩხაპნის, გაფერადებისა და ხატვის წინასასკოლო საფეხურიდან სკოლაში ასოების წერის საფეხურზე გადავდივართ და მოსამზადებელი სამუშაოები ამისთვისაა საჭირო თუ არის.

ვნახოთ რამდენიმე აქტივობა, რომელიც პირველკლასელთა წერის უნარებს კიდევ უფრო განამტკიცებს. აქტივობების აღწერისას გამოყენებული სურათები დამზადებულია ე. წ. ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით.

### ა) მწიფე ვაშლები

თუკი ამ ლამაზ პოსტერს ამოვბეჭდავთ და ბავშვებს დაფაზე გავუკრავთ, შეგვიძლია ხაზების გავლების ავთენტიკურ საშუალებად გამოვიყენოთ. გავიძახებთ თითო მოსწავლეს, შევარჩევინებთ მისთვის სასურველ მწიფე ვაშლს და ვთხოვთ, მარკერით ჩამოუსვას ხაზი იმის მიხედვით, თუ რა გზას გაივლის ხიდან ჩამოვარდნისას და სად დაეცემა. თუ დიდი ფორმატით ამობეჭდვის საშუალება არ გვექნება, ამის დახატვა მარტივად შეიძლება ე.წ. ფლიპჩატზეც.

შეგვიძლია ასეთი შავ-თეთრ ფურცლებზეც ამოვუბეჭდოთ, გავაფერადებინოთ და ინდივიდუალურად დავაკავშირებინოთ ვაშლები მიწასთან.




რასაკვირველია, ძალიან სასარგებლო იქნება ამ რესურსების გაციფრულება და ბავშვების მიერ კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით მიზანმიმართული ვარჯიში, კლავიატურის გამოყენებითი მოთვინიერება.

**ბ) ხტუნია ბაყაყები**



ამ სურათის გაფერადება, რასაკვირველია, სრულიად სასარგებლო აქტივობაა პირველკლასელებისთვის, სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვისაც. შესაბამისად, ხატვის გაკვეთილებზე ხშირად სთავაზობენ ხოლმე მასწავლებლები მსგავს დავალებებს. უბრალოდ, ამ დროს შეგვიძლია უმტკივნეულოდ ჩავნერგოთ წერისთვის საჭირო უნარების — რკალების მოხაზვა — განვითარებაც.

წარმოვიდგინოთ, რა უნდა გვითხრას პირველკლასელმა, როდესაც თავის დასრულებულ ნამუშევარს წარმოგვიდგენს:

— მე ბაყაყები გავაფერადე მწვანედ, დუმფარები გავაფერადე მუქ მწვანედ, დუმფარის ყვავილები გავაფერადე ვარდისფრად, ჭაობი ჯერ ლურჯად გავაფერადე, მერე მწვანედ გადავაფერადე. მერე ბაყაყები გადავახტუნე ერთი დუმფარიდან მეორეზე...

რასაკვირველია, შეგვიძლია გამოვიყენოთ უფრო შემცირებული და ხშირი ვერსიაც:



ასეთი სავარჯიშოების დაკავშირება სასურველი იქნება იმ თემატიკასთან, რომელზეც იმ კონკრეტულ სასწავლო მონაკვეთში ვმუშაობთ. კერძოდ:

- ეზოში თამაშის თემაზე — ბურთის გადაგდების ტრაექტორია,
- სახლისა და ოჯახის თემაზე — ცოცხის გამოსმის ტრაექტორია,
- ბუნების თემაზე — წყალში ქვის გადაგდების ტრაექტორია, ფოთლის დაშვების ზიგზაგური ტრაექტორია,
- ცხოველების თემაზე — ბარტყის გადაფრენის ტრაექტორია და ა. შ.

## გ) მარცვლების დათვლა

სურათის აღწერის შესახებ შემოთავაზებულ წერილებში გვაქვს წერითი უნარებისა და ფონოლოგიური კომპეტენციის დამაკავშირებელი აქტივობები. კერძოდ, სურათზე გამოსახული საგნის შესაბამისი მარცვლების (ან ბგერების) რაოდენობის შესაბამისი ხაზის (რკალის, კუთხის...) ჩაწერა ქართული ანბანის ბადეში.



ცხადია, ამ სურათზე შემოთავაზებული ხაზების ნაცვლად შეიძლება შევთავაზოთ პატარა ვერტიკალური ან ჰორიზონტალური რკალი შუა ხაზებში, სხვადასხვა მხარეს მიმართული მუცლით, იმავე პრინციპით — შედარებით დიდი ზომის რკალები ქვედა ან ზედა ხაზებში.

## 5. მოსმენისა და წერის ინტეგრაცია

რადგან ჩვენი წინამდებარე წერილი ნაწილია სერიისა ,,სწავლის ძირი”, აქ მხოლოდ მოსმენისა და წერის ინტეგრაციას შევეხებით. ოღონდ, ,,წერაში” ვგულისხმობთ არა ასოებით ჩანაწერების გაკეთებას, არამედ გარკვეული ნიშნების, სიმბოლოების ჩაწერას.

ეს კი, მოსმენილის მიხედვით ჩანიშვნების გაკეთება, არის ის ფუნდამენტი, რაზეც უნდა აიგოს წერა. წერის საძირკველი არ არის არც ხაზების გავლება, არც ასოთნაწილების გამოსახვაში ვარჯიში, არც კლავიატურაზე შესაბამისი სიმბოლოს მოძებნა და მასზე ხელის დაჭერა. წერის საძირკველია იმის გაცნობიერება, რომ რაღაც შეგიძლია ჩაინიშნო.

განვიხილოთ ჩვენს ერთ-ერთ წერილში წარმოდგენილი პირველი სურათის აღწერის დროს როგორ შეიძლება ბავშვებს გავაკეთებინოთ ჩანიშვნები. ამისთვის, ჯერ გავიხსენოთ ის ილუსტრაცია.

ყველაზე მარტივი იქნება, თუკი ყურადღებას გავამახვილებთ რაოდენობაზე და ბავშვებს შევთავაზებთ წინასწარ მომზადებულ სამუშაო ფურცლებს (წესით, ასეთი სავარჯიშოები ჩაშენებული უნდა იყოს ხოლმე სახელმძღვანელოს სამუშაო რვეულში, მასწავლებლებს რომ ზედმეტი ძალისხმევა არ დასჭირდეთ.)

| | * | ** | *** | ** ** | *** ** | ******* ******* ******* ******* |
|---|---|---|---|---|---|---|
| | √ | | | | | |
| | | | | | √ | |
| | √ | | | | | |
| | | √ | | | | |
| | | | | | | √ |
| | | √ | | | | |
| | √ | | | | | |

| | * | ** | *** | ** ** | *** ** | ******* ******* ******* ******* |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | √ |
| | √ | | | | | |
| | | | | | | √ |
| | √ | | | | | |
| | | √ | | | | |
| | √ | | | | | |
| | | √ | | | | |

სანამ ამ დავალებას შევთავაზებთ პირველკლასელებს, მათ უკვე კარგად უნდა ჰქონდეთ დამუშავებული ეს ილუსტრაცია. შესაბამისად, კარგად უნდა იცნობდნენ მას, მასზე გამოსახულ საგნებს. მიუხედავად ამისა, მასწავლებელს მოუწევს მკაფიოდ და ნელა უკარნახოს ბავშვებს ის წინადადებები, რომლებსაც თავიანთ ფურცლებზე ჩაინიშნავენ: ილუსტრაციაზე არის ერთი გოგონა, ხუთი გვირილა, ერთი მზე, ორი სათლი, ბევრი ფოთოლი...

ცხადია, ამ დავალების შეთავაზება შეიძლება კარნახის გარეშეც — ამ შემთხვევაში, ბავშვები ,,წაიკითხავენ" ილუსტრაციას და ისე შეავსებენ ცხრილს. მთავარია, მათთვის გასაგები იყოს დავალების პირობა.

რაც შეეხება უშუალოს ასოების დაწერის სწავლებას, ეს უკვე შედარებით გვიანი პერიოდის ამოცანაა, თუმცა საწყის ეტაპზეც შიძლება გარკვეული ძალისხმევის გაწევა. ამის შესახებ სხვა წერილებში ვისაუბროთ.